არასამთავრობო ორგანიზაციები სალომე ზურაბიშვილის ქსენოფობიური განცხადების შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაციები ვეხმაურებით და ვგმობთ □□□□□□□ ოცნების A მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის კანდიტატის, სალომე ზურაბიშვილის ქსენოფობიურ განცხადებას.

2 ოქტომბერს, ნინოწმინდაში, წინასარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ადგილობრივ ეთნიკურად სომეხ მოქალაქეებთან შეხვედრისას, ზურაბიშვილმა განაცხადა: □□□□□□ მოქალაქეობა იყო მხოლოდ მინიჭებით და მხოლოდ პრეზიდენტის საბოლოო

გადაწყვეტილებით და ერთმა პრეზიდენტმა [მიხეილ სააკაშვილი], ძალიან ბევრი მოქალაქეობა დაურიგა თურქებს, დღეს მისი წარმომადგენელი არის ჩემი ოპონენტი, მაგრამ თქვენ არ მოგცათ მოქალაქეობა".

მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის განცხადება ხელს უწყობს შუღლის გაღვივებას, ეწინააღმდეგება ლიბერალური დემოკრატიისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს, ახდენს ისტორიული კონფლიქტის თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ რეალობაში სახიფათო პრობლემატიზაციას.

განცხადება აგრეთვე შეიცავს უკანონო აგიტაციის ნიშნებს, კერძოდ: საარჩევნო კოდექსის მიხედვით, მართალია, საარჩევნო სუბიექტებს უფლება აქვთ რომ გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით, თუმცა საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის სალომე ზურაბიშვილის პირველი რასისტული და ქსენოფობიური შინაარსის განცხადება. 2013 წლის 31 იანვარს, საკუთარ ფეისბუქ გვერდზე მან ჩინელებთან დაკავშირებით დაწერა: [redacted] არ კვდებიან. ერთი პირადობის მოწმობით ან პასპორტით სარგებლობს რამდენიმე ადამიანი სანათესავოდან და ვინ გაარჩევს? როცა გგონია რომ ათი შემოვიდა სინამდვილეში 100-მდე შეიძლება იყვნენ". ერთ-ერთ განცხადებაში კი განაცხადა, რომ უცხოელებმა "ჩილიმების ქუჩად არ უნდა გადააქციოს შარდენი და აღმაშენებელი".

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერები, ასევე არჩევნებში მონაწილე სუბიექტები, ხშირად იყენებენ სიძულვილის ენას და მიზანმიმართულად ავრცელებენ ქსენოფობიურ განცხადებებს, თუმცა, სახელისუფლებო გუნდის მიერ მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატის აღნიშნული განცხადება განსაკუთრებით სახიფათო და ანტისახელმწიფოებრივია.

ჯანსაღი საარჩევო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, მიგვაჩნია, რომ წინაასაარჩევნო კამპანია უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებების დაცვის, თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს.

ხელმომწერი ორგანიზაციები ვგმობთ სალომე ზურაბიშვილის განცხადებას. ასევე, მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ ადგილი აქვს აგიტაციას კანონის

მოთხოვნათა დარღვევით.

~~ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ:~~

- სალომე ზურაბიშვილს, არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატს და პოლიტიკურ ძალას, პატივი სცენ კანონს და თავი შეიკავონ ქსენოფობიური, რასისტული და დისკრიმინაციული განცხადებებისგან.

- საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას - შეისწავლოს განცხადებაში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები და განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი - TDI

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

მედიის განვითარების ფონდი - MDF

საქართველოს რეფორმების ასოციაცია - GRASS

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა - GDI

საფარი

დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი - IDSD

თანასწორობის მოძრაობა

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის

ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი - CSEM

მედია კლუბი

შავი და ბალტიის ზღვის ალიანსი - საქართველო

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ფონდი ღია საზოგადოება საქართველო